26/08/2025

MES 3 25 0001024671

# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი,
სხდომის დაწყების დრო: 11:00
დასრულების დრო: 11:55
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ იოსელიანი
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა ჰიბრიდული ფორმატით კერძოდ, სხდომას ადგილზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ესწრებოდნენ სსპ - ილიას სახელმწფო უნივერსიტეტის წარმომადგენლების და ავტორიზაციის საბჭოს წევრების ნაწილი, ხოლოდანარჩენი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის ექსპერტები საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.საბჭოს სხდომა გაიმართა 2025 წლის 12აგვისტოს.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ საბჭოს მუშაობის პროცესში მონაწილეობა მიეღოთ დისტანციურად.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. თამარ იოსელიანი-შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი- საბჭოს თავმჯდომარე;
2. დავით ლეშკაშელი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. მამუკა ხუსკივაძე- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
4. მიხეილ გურგენიძე- შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ-პროფესორი;
5. ლევან მიდოდაშვილი- სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;

6. სერგო ჭელიძე- შპს საქართველოს ეროვნულუნი ვერსიტეტ სეუ - ს პროფესორი;
7. რიმა ბერიაშვილი- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
8. კონსტანტინე სირბილაძე- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. ნინო ჩინჩალაძე- ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
10. კახა შენგელია- შპს ,,კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი.
11. ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
12. ივანე ჯაგოდნიშვილი- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. სალომე კუჭუხიძე - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

- თათია მამრიკიშვილი -უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
- ლალი ოდიშვილი-უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- ქეთევან ინანაშვილი-უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ:

- გიორგი ღავთაძე - ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით
- გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით
- ლევან კალანდარიშვილ - ვიცე-რექტორი ფინანსებისა და რესურსების მიმართულებით
- ნონა ზუმბაძე - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი:

- კახი ყურაშვილი - ვიცე-რექტორი;
- მედეა ჭელიძე - ვიცე-რექტორი;
- ნინო ბოჭორიშვილი - რექტორის მრჩეველი;
- ნინო სეფაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ:
ა) დავით სიხარულიძე (თავმჯდომარე);
ბ) დავით თოფურია (წევრი);
გ) ეთერ თვარაძე (წევრი).

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი:
ა) დავით მახვილაძე (თავმჯდომარე);
ბ) დიანა მჭედლიშვილი (წევრი);
გ) თინათინ დვალიშვილი (წევრი)
დ) გიორგი მერაბიშვილი (სტუდენტი).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით, 11:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ - ში ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ - ში ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი: შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:
არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და სააპელაციო წარმოების მასალებს. საბჭო სწევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციი სექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ კოლეგებთან ერთად განახორციელა ვიზიტი ადგილზე, რომლის ფარგლებშიც შეისწავლეს მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები, შეაფასეს შესრულების ხარისხი და წარმოადგინეს შესაბამისი დასკვნა. მისი თქმით, დაწესებულებამ ჩადო მნიშვნელოვანი შრომა: გამოყენებული იყო როგორც ადამიანური რესურსები, ასევე გაძლიერებული იყო ტექნიკური ბაზა. თუმცა, აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ნაწილი შესრულებული იყო მხოლოდ ნაწილობრივ, ხოლო ზოგიერთი საერთოდ არ იყო შესრულებული.
განსაკუთრებულ გამოწვევად დასახელდა მე-2 სტანდარტი, კერძოდ, მისი 2.1 კომპონენტი. ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით, ვერ მოხერხდა სტრატეგიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ან კონკრეტული პირების იდენტიფიცირება, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით რეკომენდაციები უკვე გაცემული იყო.
დავით მახვილაძემ ასევე აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახლად დაკომპლექტებულია, თუმცა ამ ეტაპზე არ ჰყავს ხელმძღვანელი. მისი თქმით, სამსახურში დასაქმებულნი არიან კომპეტენტური თანამშრომლები, რომლებიც ბოლო 2-3 თვის განმავლობაში დაინიშნენ. აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით შეფასებები უკვე წარმოდგენილია.
მისი განმარტებით, მე-2 სტანდარტის პირობები ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული. მიუხედავად ამისა, სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობის სტატუსით, თუმცა 2.1 კომპონენტთან დაკავშირებით საბოლოო დარწმუნება ვერ მოხდა, რის გამოც დაფიქსირდა შეუსაბამობა. მისი აზრით, ორგანიზაციის მონდომებისა და არსებული ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, მარტივი ხელმძღვანელობითი გადაწყვეტილებით შესაძლებელია აღნიშნული პრობლემის მოგვარება.
პროგრამებთან დაკავშირებით, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ მე-3 სტანდარტის ნაწილში უნივერსიტეტს პრაქტიკულად ყველა გამოწვევა გადაწყვეტილი აქვს. დასკვნის დანარჩენი დეტალები წარმოდგენილია წერილობით, რის გამოც ზეპირი მოხსენება მხოლოდ ძირითად საკითხებს შეეხებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, კახი ყურაშვილმა, ყურადღება გაამახვილა იმ ნაწილზე, სადაც დაწესებულებამ ნაწილობრივ არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიციები, რაც ძირითადად მე-2 და პირველ სტანდარტებს შეეხებოდა.
1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ექსპერტებმა დასკვნაში მიუთითეს: უნივერსიტეტმა წარადგინა სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები და ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ. მიუხედავად ამისა, რეკომენდაცია შეფასდა ნაწილობრივ შესრულებულად, რადგან ექსპერტთა აზრით, უნივერსიტეტს უნდა ჰყოლოდა სტრატეგიული განვითარების გეგმაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან გამოყოფილი პირი.
კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ მონიტორინგის ვიზიტის მომენტისთვის უნივერსიტეტში მოქმედებდა შიდა მექანიზმი — „სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი“, რომელიც განსაზღვრავდა მონიტორინგის ეტაპებსა და ჯგუფის

შემადგენლობას. მართალია, უნივერსიტეტს არ გააჩნდა სტრუქტურული ერთეული სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სახით, მაგრამ მექანიზმი უზრუნველყოფდა გეგმების შესრულების მონიტორინგს, შეფასებასა და რეაგირებას.

მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა დაამტკიცა ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, შეიცვალა მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. დოკუმენტებით გათვალისწინებულია მონიტორინგის ჯგუფის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს. ჯგუფი იქმნება რექტორის ბრძანებით და ეწოდება „მართვის ეფექტიანობის შეფასების სამუშაო ჯგუფი“. ჯგუფში, უნივერსიტეტის თანამშრომლების გარდა, შესაძლებელია გარე ექსპერტების მოწვევაც. ჯგუფის ხელმძღვანელს განსაზღვრავს რექტორი, რომელიც ასევე უფლებამოსილია თავად უხელმძღვანელოს ჯგუფს.

ჯგუფის სავალდებულო წევრები არიან: ვიცე-რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის წარმომადგენელი, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა წარედგინება აკადემიურ საბჭოს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის რეაგირებას.

მექანიზმით განსაზღვრულია რეაგირების ფორმებიც, მათ შორის: სტრატეგიულ ან სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა, ამ ცვლილებების განხორციელება, წამახალისებელი ღონისძიებების ჩატარება ან დისციპლინარული ზომების მიღება. უნივერსიტეტში ასევე დაგეგმილია სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების წარმოდგენის მექანიზმი.

კახი ყურაშვილმა დაასკვნა, რომ აღნიშნული მექანიზმი გამართული და მოქმედია. თუ საბჭოს წევრები მიიჩნევენ საჭიროდ, რომ შეიქმნას სპეციალური სტრუქტურული ერთეული სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისთვის, უნივერსიტეტი მზად არის გაიზიაროს ეს მოსაზრება. თუმცა, დაწესებულების პოზიციაა, რომ მოქმედი მექანიზმი სრულად აკმაყოფილებს მიზანს და ადასტურებს რეკომენდაციის სრულად შესრულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველაზე მკაცრი შეფასება უნივერსიტეტმა მიიღო 2.1 ქვესტანდარტთან — ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა — მიმართებით. მისი თქმით, უნივერსიტეტის საშტატო განრიგი ვითარდება საგანმანათლებლო დაწესებულების მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმისა და მუდმივი განახლების პროცესის პარალელურად.

რეკომენდაცია გაიცა იმ საფუძველზე, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის გარკვეულწილად დამაბნეველი აღმოჩნდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია და ადგილზე ვიზიტისას დაფიქსირებული სტრუქტურული მმართველობითი ერთეულები და ადამიანური რესურსი.

კახი ყურაშვილმა ქრონოლოგიურად განმარტა ვითარება:
2025 წლის 25 მარტამდე, ანუ მანამდე, სანამ უნივერსიტეტში შევიდოდა განაცხადი მონიტორინგის განხორციელების თაობაზე, საშტატო განრიგით გათვალისწინებული იყო ორი ვიცე-რექტორის პოზიცია, რომელთაგან ერთი ვაკანტური იყო.
2025 წლის 25 მარტს, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საშტატო ნუსხაში შევიდა ცვლილება და ვაკანტური პოზიცია გაუქმდა. აღნიშნული ცვლილება მაშინვე, პროაქტიულად, გამოქვეყნდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 14–15 აპრილს ჩატარდა. ამ დროს უნივერსიტეტის სტრუქტურა მოიცავდა ერთი ვიცე-რექტორის პოზიციას. ფაქტობრივად, უნივერსიტეტში ერთი ვიცე-რექტორი მუშაობდა და ეს ინფორმაცია ადეკვატურად იყო ასახული ვებგვერდზეც. დამაბნეველი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იყო ორი ვიცე-რექტორის პოზიცია, თუმცა ვიზიტისას ადგილზე იყო მხოლოდ ერთი. ეს არ ნიშნავს, რომ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია არასწორი იყო — ის ასახავდა იმჟამინდელ რეალურ მდგომარეობას.

შემდგომ, 8 მაისს, საექსპერტო ჯგუფმა ვებგვერდზე კვლავ ნახა ორი ვიცე-რექტორის პოზიცია. კახი ყურაშვილის განმარტებით, ეს მოხდა იმიტომ, რომ დაწესებულება იმ დროისთვის რეავტორიზაციის პროცესში იმყოფებოდა და დეკემბერში ჰქონდა დაგეგმილი რეავტორიზაცია. ამ მიზნით, ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში, შეიქმნა ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფი.

გარდა ამისა, უნივერსიტეტმა დაამტკიცა ახალი, მომდევნო 7 წლის სამოქმედო გეგმა, რის გამოც შეიქმნა სპეციალური სტრატეგიული განვითარების ჯგუფიც.

ამ ჯგუფების რეკომენდაციების საფუძველზე, 2 მაისს განხორციელდა ცვლილებები სტრუქტურაში: ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის უწყვეტი განათლების ცენტრი; აღდგა მეორე ვიცე-რექტორის პოზიცია; განაწილდა ვიცე-რექტორების კომპეტენციები, ფუნქციები და საკურაციო სფეროები, რაც აისახა შესაბამის დებულებებსა და საშტატო რეგულაციებში; ამჟამად, უნივერსიტეტს ორი ვიცე-რექტორის პოზიცია აქვს შევსებული. დამატებით, აღნიშნა, რომ ყველა სტრუქტურულ ერთეულს ჰყავს ხელმძღვანელი.

ხარისხის მართვის სამსახური გაძლიერდა: საექსპერტო ვიზიტის დროს სამსახური შედგებოდა სამი საშტატო ერთეულისაგან — უფროსი სპეციალისტი და სპეციალისტი. ახალი საშტატო ნუსხით, შტატები ხუთამდე გაიზარდა. სამსახურის უფროსი უკვე დანიშნულია. ვიზიტის დროს ძველი ხელმძღვანელი წასული იყო, ხოლო ახალი ჯერ შერჩეული არ იყო — ეს ფაქტი ექსპერტებმა სწორად აღწერეს. ამჟამად სამსახურში მუშაობენ: სამსახურის უფროსი; ორი მთავარი სპეციალისტი; ორი სპეციალისტი ფაკულტეტების მიხედვით (უნივერსიტეტს ორი ფაკულტეტი აქვს).

2.2 სტანდარტი უკავშირდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა, რომ არსებული რეკომენდაცია შესრულებულია, თუმცა ჩათვალეს საჭიროდ ახალი რეკომენდაციის ჩამოყალიბება.

ახალ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ვიზიტის დროს მოქმედებდა 2020 წლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, ხოლო 2025 წლის 2 მაისს დაწესებულებამ დაამტკიცა სრულიად ახალი და სრულყოფილი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების შეფასებას, პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) განვითარების შეფასებას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, ინტერნაციონალიზაციის შეფასებას, სტუდენტური სერვისებისა და მხარდაჭერის მექანიზმების შეფასებას, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური მექანიზმების შეფასებას, მართვის ეფექტიანობის სისტემის შეფასებას და თავად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტიანობის შეფასებას. ასევე, საკადრო გაძლიერების რეკომენდაციის ფარგლებში, გაიზარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საშტატო რიცხოვნება და დაინიშნა სამსახურის უფროსი.

რაც შეეხება 3.2 ქვესტანდარტს, რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა ვიზიტი ერთ-ერთ სტომატოლოგიურ კლინიკაში, სადაც მენტორი ადგილზე არ დახვდათ, ხოლო კლინიკის ხელმძღვანელი არ იყო საქმის კურსში.

დაწესებულების განმარტებით, არაკომპეტენტური პირის მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ გამოიწვია რეკომენდაციის ფორმირება.

საბჭოს წევრებს განემარტა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის ეფექტური სისტემა, რომელიც გაწერილია: შინაგანაწესში, სამუშაო აღწერილობებში, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში. ამ დოკუმენტების საფუძველზე, დაწესებულებას დეტალურად აქვს გაწერილი როგორც კამპუსში მიმდინარე სასწავლო პროცესის, ასევე პრაქტიკული და კლინიკური სწავლების ობიექტებზე მიმდინარე პროცესების მონიტორინგის მექანიზმები. კამპუსში მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მენეჯერი, პრაქტიკის ობიექტებსა და კლინიკებში — შიდა და გარე მონიტორინგის სპეციალისტები. საშტატო განრიგით:

ჯანდაცვის ფაკულტეტზე ჰყავს სამი მენეჯერი და ერთი სპეციალისტი; სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე — ორი მენეჯერი და ერთი სპეციალისტი.
მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში პერმანენტულად ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რომელიც ვრცელდება ყველა კონტრაქტორზე, მათ შორის იმ კლინიკაზეც, სადაც ექსპერტები იმყოფებოდნენ. ამ კლინიკაშიც სასწავლო კომპონენტი ექვემდებარება როგორც გეგმიურ, ისე არაგეგმიურ მონიტორინგს. აღნიშნული აისახება მონიტორინგის აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც ექსპერტებს წარედგინათ და დაემატა დაწესებულების დასკვნაზე საპასუხო წერილს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 1.2 სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც შინაარსობრივად ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფას ეხება და დაკავშირებულია მე-2 სტანდარტთან, პოზიცია უკვე დაფიქსირებულია.
2.1 სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა შეფასება მკაცრია, როგორც ეს თავადაც აღნიშნეს, თუმცა დაწესებულებამ სცადა აღნიშნული პოზიცია დოკუმენტურად გაემყარებინა.
გარდა ამისა, ყურადღება გაამახვილა სტუდენტურ სერვისებზე და საბჭოს წევრებს აცნობა, რომ: არჩევითი საგნის სტუდენტის მიერ პორტალიდან შერჩევის შესაძლებლობა, რომელიც რეკომენდაციაში იყო აღნიშნული, უკვე უზრუნველყოფილია და ამჟამად მოქმედია; ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა — ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი მონაცემის დამატება პორტალზე, რათა სტუდენტს ჰქონდეს წვდომა. მისი თქმით, 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე აღნიშნული ფუნქციაც ინტეგრირებული იქნება სტუდენტურ პორტალში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება.
ექსპერტმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაციის გაცემის პერიოდი მოიცავს 14-15 აპრილს არსებულ მდგომარეობას.
მან გააკეთა აქცენტი სტრატეგიული განვითარების მიმართულებაზე და განაცხადა, რომ მექანიზმის არსებობა სადავო არ არის. არსებული მექანიზმის მიხედვით, აღნიშნულ პროცესში მონაწილეობენ ვიცე-რექტორი, ხარისხის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის წარმომადგენელი და აკადემიური პერსონალი.
ამასთან, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი პროცესიდან გამოთიშული იყო, ვინაიდან აღნიშნული პოზიცია იმ მომენტისთვის არ არსებობდა.
მან განმარტა, რომ საუბარია მდგრად განვითარებაზე და სტაბილურ პერსონალზე, რომელიც ამ მიმართულებას მიხედავს.
აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გაცემულია უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე და მათი განვითარების მიზნით. დასძინა, რომ ექსპერტებს არ ჰქონიათ არანაირი წინააღმდეგობა არგუმენტებთან მიმართებით, გარდა იმისა, რომ შესაძლებელია, მდგომარეობა შემდგომში უკეთესობისკენ შეიცვალა, თუმცა შეფასება განხორციელდა ვიზიტის დროისთვის არსებულ მდგომარეობაზე დაყრდნობით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, ნინო ჩინჩალაძემ, იკითხა, რამდენი სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, კახი ყურაშვილმა, უპასუხა, რომ ავტორიზაციის გადაწყვეტილებით დაწესებულებას აქვს 730 ადგილი, ხოლო ამჟამად ჰყავს 427 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.
თამარ იოსელიანმა დააზუსტა სტუდენტთა რაოდენობა და აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით დაწესებულებას აქვს 730 ადგილი და ჰყავს 490 აქტიური სტუდენტი.
კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ მიმდინარე მონაცემებით 427 აქტიური სტუდენტი ჰყავთ და შესაძლებელი იყო ცვლილება, რადგან სასწავლო წელი დასრულდა.

თამარ იოსელიანმა ასევე დააზუსტა, რომ პარალელურად მიმდინარეობს საავტორიზაციო განაცხადის წარმოება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საავტორიზაციო განაცხადი უკვე შეტანილია, დადგენილი ტექნიკური ხარვეზი გამოსწორებულია და სექტემბერში ელოდებიან ავტორიზაციის ექსპერტებს. დაწესებულება გეგმავს რეავტორიზაციის განხორციელებას 2 დეკემბრამდე.

სხდომაზე გამოცხადდა სთათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:25
დასრულების დრო:11:36

2.1 კომპონენტის შეფასება შეიცვალა და ნაცვლად "არ არის შესაბამისი მითხოვნებთან" შეფასდა, როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".
საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები, და შესაბამისად, დაწესებულებაში შესასრულებლად განესაზღვრა ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მიღების შეზღუდვის მოხსნის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე:13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებულიპოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-80 მუხლის, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს მოეხსნას სტუდენტთა მიღების შეზღუდვა.
გადაწყვეტილება ძალაშია საბჭოს ჩატარების დღეს, 2025 წლის 12 აგვისტოს.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ, მომდევნო საკითხთან თვითაცილენის გამო დატოვა საბჭოს სხდომა.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ - ში ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერსაბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:
არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და სააპელაციო წარმოების მასალებს. საბჭო სწევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციი სექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რომ დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ, მოკლედ წარმოადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 22–23 აპრილს. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შვიდივე სტანდარტი, და ძირითადად გამოვლინდა ერთი მიგნება, რომელიც ეხებოდა შემდეგ საკითხს: უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობის მექანიზმი. ასევე სასურველია შემუშავდეს მიზნობრივი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს: აკადემიური პერსონალისათვის დამატებითი ფინანსური წახალისების სისტემის დახვეწას, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში პუბლიკაციისათვის საჭირო უნარების განვითარების ტრენინგს, უცხოელ მკვლევრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობას. დამატებით, ექსპერტებმა გამოავლინეს საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც მდგომარეობს უნივერსიტეტის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის მაღალ ხარისხში განხორციელებაში, რაც ვლინდება როგორც სასწავლო პროცესში, ასევე ადმინისტრირების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ნონა ზუმბაძემ, პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სრულად იზიარებს რეკომენდაციას.
მან აღიარა, რომ მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობისა და ხარისხის ზრდა მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც ინსტიტუციური კვლევითი პოტენციის გაძლიერებისთვის, ასევე საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში პოპულარულობის ასამაღლებლად.
განმარტა, რომ უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისთვის ფინანსური მექანიზმები უკვე არსებობდა, რაც მე-6 სტანდარტში დეტალურად არის აღწერილი. თუმცა, დაწესებულებამ შეიმუშავა დაფინანსების ახალი სქემა, რომელიც 2025 წლის გაზაფხულის სემესტრიდან ამოქმედდა და კიდევ უფრო წაახალისებს აკადემიურ საქმიანობას.
ნონა ზუმბაძემ ისაუბრა რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა პუბლიკაციების მომზადებისთვის საჭირო უნარების გაძლიერებას, და დასასრულს აღნიშნა, რომ დაწესებულება აღნიშნულს სისტემატურად ახორციელებს, ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე და მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ შეკითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს აღნიშნულ საკითხზე კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სთათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:46
დასრულების დრო: 11:51

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე:12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერწარმოდგენილია რგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთ აჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ემუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდაშპს „საქართველო სეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებულია დმინისტრაციული წარმოება.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 12 აგვისტოს 17:55 საათზე.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ

ელექტრონული
მფლობელსაუღი
ელექტრონული